საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №...1/320..... "..6....." ...დეკემბერი..... 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, საქმეს განიხილავს გადაწყვეტილების/განჩინების გამომტანი მოსამართლე, ხოლო მისი უფლებამოსილების შეწყვეტის, სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში გადასვლის ან სხვა სასამართლოში მიღლინების შემთხვევაში - შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლე.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი